სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030684189369618

31 / აგვისტო / 2018 წ. **თბილისი #06-142/ო**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ , ‘’ჟ’’ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს: სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 - 2022 წლების სტრატეგია თანდართული სახით.
2. დაევალოთ ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს:
ა) სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, ყოველი წლის 1 დეკემბრამდე, დასამტკიცებლად წარმოადგინონ მომავალი წლის სამოქმედო გეგმა;
ბ) მომდევნო წლის 15 თებერვლამდე, ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფს წარუდგინონ წინა წლის საქმიანობა ანგარიში, შემდგომი განხილვისა და ცენტრის გენერალურ დირექტორთან წარდგენის მიზნით;
3. დაევალოთ ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეებს ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია საკურატორო სფეროების მიხედვით.
4. დაევალოს, ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში;

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე